

უცხო ქვეყნის კანონმდებლობის შესაბამისად შექმნილი ორგანიზაციის (ა(ა)იპ) მიერ ფიზიკურ პირზე გრანტის გაცემა 2427

ფაქტობრივი გარემოებები

უცხო ქვეყნის კანონმდებლობის შესაბამისად შექმნილმა ორგანიზაციამ (ა(ა)იპ) საქართველოს მოქალაქე ფიზიკურ პირზე - უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სტუდენტზე, შემდგომში სწავლის საფასურის ანაზღაურების მიზნით გასცა გრანტი.

უცხო ქვეყნის კანონმდებლობის შესაბამისად შექმნილმა ორგანიზაციამ, საქართველოს მოქალაქე ფიზიკურ პირზე - უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სტუდენტზე გაცემული გრანტის ფარგლებში, საგადასახადო აგენტის ვალდებულება არ შეასრულა.

შეფასება

„გრანტების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-2 მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, გრანტი არის გრანტის გამცემის (დონორის) მიერ გრანტის მიმღებისათვის უსასყიდლოდ გადაცემული მიზნობრივი სახსრები ფულადი ან ნატურალური ფორმით, რომლებიც გამოიყენება კონკრეტული ჰუმანური, საგანმანათლებლო, სამეცნიერო-კვლევითი, ჯანმრთელობის დაცვის, კულტურული, სპორტული, ეკოლოგიური, სასოფლო-სამეურნეო განვითარებისა და სოციალური პროექტების, აგრეთვე სახელმწიფოებრივი ან საზოგადოებრივი მნიშვნელობის პროგრამების განხორციელებისათვის.

აღნიშნული კანონის მე-3 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის მიხედვით, გრანტის გამცემი (დონორი) შეიძლება იყოს საერთაშორისო საქველმოქმედო, ჰუმანიტარული და სხვა საზოგადოებრივი ორგანიზაცია (მათ შორის, საერთაშორისო სპორტული ასოციაცია, ფედერაცია და კომიტეტი), საფინანსო-საკრედიტო ინსტიტუტი, უცხო ქვეყნის მთავრობა ან მისი წარმომადგენლობა, აგრეთვე უცხოეთის სამეწარმეო (თუ გრანტის მიმღები არის სახელმწიფო ან საქართველოს მთავრობა) ან არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი, ხოლო მე-4 მუხლის „ვ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, გრანტის მიმღები შეიძლება იყოს საქართველოს მოქალაქე.

სსკ-ის 154-ე მუხლით განსაზღვრულია, თუ რა შემთხვევაში ევალება საგადასახადო აგენტს გადახდის წყაროსთან გადასახადის დაკავება.

სსკ-ის 82-ე მუხლის პირველი ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტის მიხედვით, საშემოსავლო გადასახადით დაბეგვრისგან თავისუფლდება მიღებული გრანტი.

რამდენადაც ფიზიკური პირის მიერ მიღებული გრანტი გათავისუფლებულია საშემოსავლო გადასახადით დაბეგვრისგან და ამასთან, სსკ-ის 154-ე მუხლი არ ითვალისწინებს გრანტზე გადასახადის წყაროსთან დაკავებას, უცხო ქვეყნის კანონმდებლობის შესაბამისად შექმნილ ორგანიზაციას (ა(ა)იპ) მოცემულ შემთხვევაში არ წარმოემოხა საგადასახადო აგენტის ვალდებულება.

ღონისძიებები

პირის ქმედებაში საგადასახადო სამართალდა რღვევა არ იკვეთება და გადასახადის გადამხდელისთვის საგადასახადო ვალდებულება არ დაკისრდება.

➤ სიტუაციურ სახელმძღვანელოში აღნიშნული გრანტის გაცემის მიზანი (სწავლის საფასურის ანაზღაურება) პირობითია და სიტუაციური სახელმძღვანელო ვრცელდება „გრანტების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-2 მუხლის პირველი პუნქტით განსაზღვრულ გრანტთან მიმართებით

➤ სიტუაციური სახელმძღვანელო დამტკიცებულია 2018 წლის 12 თებერვლისთვის მოქმედი საგადასახადო კანონმდებლობის მიხედვით

ანოტაცია

„უცხო ქვეყნის კანონმდებლობის შესაბამისად შექმნილი ორგანიზაციის (ა(ა)იპ) მიერ ფიზიკურ პირზე გრანტის გაცემა“ №2427

სიტუაციური სახელმძღვანელოს თაობაზე

სიტუაციური სახელმძღვანელო არეგულირებს უცხო ქვეყნის კანონმდებლობის შესაბამისად შექმნილი ორგანიზაციის (ა(ა)იპ) მიერ ფიზიკურ პირზე გრანტის გაცემისას საგადასახადო აგენტის ვალდებულების წარმოშობის საკითხს.

სიტუაციური სახელმძღვანელოს თანახმად, უცხო ქვეყნის კანონმდებლობის შესაბამისად შექმნილმა ორგანიზაციამ (ა(ა)იპ) საქართველოს მოქალაქე ფიზიკურ პირზე - უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სტუდენტზე, შემდგომში სწავლის საფასურის ანაზღაურების მიზნით გასცა გრანტი. უცხო ქვეყნის კანონმდებლობის შესაბამისად შექმნილმა ორგანიზაციამ, საქართველოს მოქალაქე ფიზიკურ პირზე - უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სტუდენტზე გაცემული გრანტის ფარგლებში, საგადასახადო აგენტის ვალდებულება არ შეასრულა.

„გრანტების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-2 მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, გრანტი არის გრანტის გამცემის (დონორის) მიერ გრანტის მიმღებისათვის უსასყიდლოდ გადაცემული მიზნობრივი სახსრები ფულადი ან ნატურალური ფორმით, რომლებიც გამოიყენება კონკრეტული ჰუმანური, საგანმანათლებლო, სამეცნიერო-კვლევითი, ჯანმრთელობის დაცვის, კულტურული, სპორტული, ეკოლოგიური, სასოფლო-სამეურნეო განვითარებისა და სოციალური პროექტების, აგრეთვე სახელმწიფოებრივი ან საზოგადოებრივი მნიშვნელობის პროგრამების განხორციელებისათვის. აღნიშნული კანონის მე-3 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის მიხედვით, გრანტის გამცემი (დონორი) შეიძლება იყოს საერთაშორისო საქველმოქმედო, ჰუმანიტარული და სხვა საზოგადოებრივი ორგანიზაცია (მათ შორის, საერთაშორისო სპორტული ასოციაცია, ფედერაცია და კომიტეტი), საფინანსო-საკრედიტო ინსტიტუტი, უცხო ქვეყნის მთავრობა ან მისი წარმომადგენლობა, აგრეთვე უცხოეთის სამეწარმეო (თუ გრანტის მიმღები არის სახელმწიფო ან საქართველოს მთავრობა) ან არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი, ხოლო მე-4 მუხლის „ვ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, გრანტის მიმღები შეიძლება იყოს საქართველოს მოქალაქე.

სსკ-ის 154-ე მუხლით განსაზღვრულია, თუ რა შემთხვევაში ევალება საგადასახადო აგენტს გადახდის წყაროსთან გადასახადის დაკავება.

სსკ-ის 82-ე მუხლის პირველი ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტის მიხედვით, საშემოსავლო გადასახადით დაბეგვრისგან თავისუფლდება მიღებული გრანტი.

ფაქტობრივი გარემოებების გათვალისწინებით და ზემოაღნიშნული ნორმებიდან გამომდინარე, რამდენადაც ფიზიკური პირის მიერ მიღებული გრანტი გათავისუფლებულია საშემოსავლო გადასახადით დაბეგვრისგან და ამასთან, სსკ-ის 154-ე მუხლი არ ითვალისწინებს გრანტზე გადასახადის წყაროსთან დაკავებას, უცხო ქვეყნის კანონმდებლობის შესაბამისად შექმნილ ორგანიზაციას (ა(ა)იპ) მოცემულ შემთხვევაში არ წარმოეშობა საგადასახადო აგენტის ვალდებულება.

პირის ქმედებაში საგადასახადო სამართალდარღვევა არ იკვეთება და გადასახადის გადამხდელისთვის საგადასახადო ვალდებულების დაკისრება არ ხდება.

ამასთან, სიტუაციურ სახელმძღვანელოში აღნიშნული გრანტის გაცემის მიზანი (სწავლის საფასურის ანაზღაურება) პირობითია და სიტუაციური სახელმძღვანელო ვრცელდება „გრანტების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-2 მუხლის პირველი პუნქტით განსაზღვრულ გრანტთან მიმართებით.